პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 69 (1083) | კვირა, 9 ივნისი, 1957 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ რუმინელი ფეხბურთელები

დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ თბილისის აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყო რუმინეთის ქალაქ სტალინის „დინამოს" ფეხბურთელებს.

* * *

სურათებზე: შეხვედრის მომენტი, მარჯვნივ რუმინელ სტუმართა ერთი ჯგუფი.

გამარჯვების სიხარული ბეჯითი შრომის შედეგია

საბჭოთა სპორტი სწორი გზით ვითარდება. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა ამ ბოლო წლებში. სპორტის მოყვარულებს შორის ჯერ კიდევ არ განელებულა საბჭოთა სპორტსმენების მიერ მოპოვებული დიდი გამარჯვების სიხარული და უკვე ახალი წარმატებებით აღინიშნა ჩვენი სპორტსმენების გამოსვლა საერთაშორისო სარბიელზე.

კარლოვი ვარში სამმა საბჭოთა მოკრივემ მოიპოვა ოქროს მედალი. ამას წინათ დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატში (თავისუფალ ჭიდაობაში) გუნდმა მეორე, ხოლო ექვსმა საბჭოთა მოკრივემ საპრიზო ადგილები დაიკავეს. ეს მიმდინარე წლის დიდ გამარჯვებათა დასაწყისია. მალე დაიწყება საერთაშორისო შეჯიბრებები, ევროპის, მსოფლიოს პირველობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში და სრული იმედია, რომ საბჭოთა სპორტსმენები მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანენ მსოფლიო და საკავშირო რეკორდების ცხრილებში.

რით აღწევენ საბჭოთა სპორტსმენები წარმატებას? სამშობლოს, კოლექტივის უანგარო სიყვარულით, სწორად დაყენებული სასწავლო-საწვრთნელი მუშაობით, სპორტში მეცნიერული აზრის ღრმად დანერგვით და, რაც მთავარია, მაღალი იდეურ-პოლიტიკური შეგნებულობით.

ჩვენ ამ წერილში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ სწორედ ამ მეტად საპასუხისმგებლო უბანზე — სპორტსმენთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაზე და კოლექტივის სიყვარულზე.

ამ ბოლო ხანებში შემჩნეულ იქნა მეტად არასასიამოვნო ფაქტები: სპორტული საზოგადოებები, საქალაქო და სარაიონო კომიტეტები, იმისათვის, რომ ამა თუ იმ შეჯიბრებაში საპრიზო ადგილი დაიკავონ, აკრძალულ ხერხს მიმართავენ — ესხულობენ სპორტსმენებს სხვა ორგანიზაციებიდან, რაიონებიდან, ქალაქებიდან და ამ გზით მოპოვებული პირველი ადგილებით ტრაბახით იკ[illegible]ებენ ყველას.

აი ფაქტებიც:

სპორტულ საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოს აქვს მეტად მზარდი და საჭირო განყოფილება ე. წ. „ნორჩი დინამოელი", რომელიც ბავშვთა შორის სპორტის დანერგვის საქმეში მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. გასულ წელს „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ გადაწყვიტა შეემოწმებინა ქუთაისის „ნორჩი დინამოელის" ორგანიზაცია და შემოწმებას მშრალი ჩინოვნიკური ხასიათი რომ არ მიეღო, თბილისის „ნორჩი დინამოელის" ორგანიზაციიდან წაიყვანეს მოკრივეები და მოჭიდავეები ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად. ეს რომ გაიგეს ქუთაისში, სასწრაფოდ იქნა „გაძლიერებული" ადგილობრივი „ნორჩი დინამოელის" გუნდები განათლების განყოფილებისა და სხვა ორგანიზაციების ნორჩი სპორტსმენებით. ამ შემოწმება-შეჯიბრებაზე თავი „ისახელეს" ქუთაისელებმა, გაიმარჯვეს და თბილისელი ამხანაგები დაარწმუნეს, რომ მათთან მუშაობა დუღს და გადმოდუღს. მაგრამ ტყუილს ხომ მოკლე ფეხი აქვს.

ამიერკავკასიის რკინიგზის სასკოლო განყოფილებამ გასულ წელს მონაწილეობა მიიღო თავიანთი სისტემის სკოლების საკავშირო სპარტაკიადაში. დაიხარჯა უამრავი თანხები გუნდების დაკომპლექტებაში, მაგრამ გაწეულმა ხარჯმა უქმად როდი ჩაიარა. მძლეოსნებმა პირველი ადგილი დაიკავეს, თასიც მიიღეს, სიგელიც და გამარჯვებული დაბრუნდნენ თბილისში. მაგრამ მათი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. მალე მოვიდა მეტად არასასიამოვნო ცნობა: საქართველოს რკინიგზელ მოსწავლეთა შედეგები მძლეოსნობაში გაუქმებულია და სიგელები და თასი უკან ჩაგვაბარეთო. ყველაფერი გამოირკვა: რკინიგზის სასკოლო განყოფილებას „უსესხია" სპორტსმენები არა მარტო ქალაქის განათლების განყოფილების სკოლებიდან, არამედ ინსტიტუტებიდანაც. ასეთ ფაქტსაც ჰქონდა ადგილი: მოჭიდავე ლეკვეიშვილმა ერთ წელიწადში ორი საზოგადოების ჩემპიონობა მოიპოვა. „დინამოს" საკავშირო პირველობაში გამარჯვების შემდეგ, არც „კრასნოე ზნამიას" ხელმძღვანელობას აწყენინა, მათ შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე ჩემპიონობაც მოიპოვა.

საკითხი ისმის, ვის რაში ჭირდება ასეთი გამარჯვება, წასწევს თუ არა წინ ასეთი მუშაობა რესპუბლიკის სპორტს? რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა თვლის, რომ ასეთი გზით მოპოვებული გამარჯვება არა სპორტულია და იგი მეტად უარყოფითად მოქმედებს სპორტული მაჩვენებლების ზრდასა და ახალგაზრდების მორალურ მდგომარეობაზე.

ასეთი ფაქტების გამოვლინება პირველ რიგში იმაზე მეტყველებს, რომ რესპუბლიკის სპორტსმენებში და მათ ხელმძღვანელობაშიც კი სათანადო სიმაღლეზე არ დგას იდეურ-პოლიტიკური მუშაობა.

სხვადასხვა თასებით თაროების შევსება და სიგელებით კედლების აჭრელება ჩავარდნილ მუშაობას ვერ გამოასწორებს. ჯობს შეჯიბრებაში მონაწილეობდე საკუთარი ძალებით, სხვის დაუხმარებლად და დაბალ ადგილზე გამოხვიდე, ვიდრე სხვადასხვა საზოგადოებიდან ნათხოვარი სპორტსმენებით წარმატება მოიპოვო. ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს და სხვებსაც, რომლებიც ასეთ არაწესიერ საქციელს ჩადიან, კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ გამარჯვება მაშინ არის საამაყო, როდესაც იგი მიღწეულია ბეჯითი შრომით, საკუთარი ძალების დარაზმვით.

ამას გარდა სპორტსმენები, როდესაც ხედავენ თავიანთი ხელმძღვანელების მოქმედებას, ცუდ მაგალითს იღებენ და შემდგომში თავიანთ მუშაობაშიც იყენებენ საზოგადოების მოტყუების, თვალის ახვევის ამ „ნაცად ხერხებს". ასეთი ფაქტებიც ბევრი გვაქვს.

რესპუბლიკის სპორტის განვითარების ინტერესი მოითხოვს ასეთი ვაიხელმძღვანელები ალაგმულ იქნან, ხოლო მსგავსი ფაქტების გამოვლინების შემთხვევაში დაისაჯოს არა მარტო ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას, არამედ სპორტსმენიც, რომლისთვისაც სულ ერთია, რომელი კოლექტივის სახელით გამოვა და იმისათვის, რომ რომელიმე ქალაქში შეჯიბრებაზე გაემგზავროს, თანახმაა პასპორტი გადაასწორებინოს და ამა თუ იმ სპორტული საზოგადოების ყალბი მოწმობა ჩაიდოს ჯიბეში.

ასეთი ფაქტები რომ არ გამეორდეს, განსაკუთრებით ზუსტად უნდა მუშაობდნენ შეჯიბრებათა სამანდატო კომისიები და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტული განყოფილება, რომელიც ამოწმებს რესპუბლიკიდან საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების განაცხადებს.

ტრადიციული შეხვედრა

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოსა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებს შორის დამყარდა მჭიდრო სპორტული მეგობრობა. 1952 წელს უკრაინელი სპორტსმენები ეწვიენ თავის ქართველ კოლეგებს, ხოლო 1956 წელს კიევში საპასუხო ვიზიტით ჩავიდნენ თბილისელები.

მაისის დამლევს მოძმე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ტრადიციულ მატჩში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვიდა უკრაინის აკადემიის სპორტული დელეგაცია. შეხვედრის პროგრამაში იყო: ფრენბურთი, ცურვა, სროლა, ჭადრაკი, ჩოგბურთი და მაგიდის ჩოგბურთი.

საინტერესოდ ჩატარდა ფრენბურთელთა შეხვედრები კიროვის სახელობის პარკის სპორტულ მოედანზე. ქალთა შეჯიბრებაში ორივე თამაში (ანგარიშით 2:0) მოიგეს საქართველოს აკადემიის ფრენბურთელებმა. დაძაბული გამოდგა ვაჟთა გუნდების შეხვედრა. ორივე მატჩში ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ჩოგბურთში საქართველოს მეცნიერ მუშაკები აშკარად ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეებს. ყველა შეხვედრები მოიგეს ვაჟებში გ. კოკაიამ და ა. მაზანაშვილმა, ხოლო ქალებში ე. სენიუკმა და ს. ბასმანოვამ (ყველა თბილისიდან). შერეულ წყვილში გაიმარჯვეს გ. კოკაიამ და ე. სენიუკმა. ვაჟთა წყვილში კი გ. კოკაიამ და ა. მაზანაშვილმა. სროლაში კიეველებმა თბილისელ მეგობრებს საერთო ჯამში 83 ქულით გაუსწრეს. ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა კიეველმა პ. შიშკინმა, რომელმაც 300 შესაძლებლიდან 270 ქულა დააგროვა.

თავი ისახელეს თბილისელმა მოჭადრაკეებმა. თვითეულ გუნდში 7 ვაჟი და 1 ქალი იყო. შეხვედრა პირველ დღეს ანგარიშით 6,5:1,5 მოიგეს საქართველოს აკადემიის მოჭადრაკეებმა. მეორე დღესაც კიეველებმა დამარცხება განიცადეს (3,5:4,5). ორ-ორი პარტია მოიგეს პროფესორმა დ. კვესელავამ, თ. ებანოიძემ, ლ. გამხიტაშვილმა და კიეველმა ა. სტარჩენკომ. მოგვყავს ამ მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო პარტია:

დ. კვესელავა—ვ. პენკოვსკი

ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მc3 კb4 4. მf3 c5 e3 d5 6. კd2 მc6 7 cd მ:d5 8. მ:d5 ლ:d5 9. კ:b4 cb 10. კe2 0—0 11. 0—0 e5 12. de ლe6 13. მd4 ლ:e5 14. კf3 მ:d4 15. ed ლf6 16. ლd2 a5 17. ეac1 ეd8 18. ეfd1 კe6 19. d5 ეd6 20. ლe3 კd7 21. b3 b6 22. ეc4 ეd8 23. ეf4 ლg5 24. h4 ლg6 25. ეe4 კe6 26. ეed4 ლf6 27. de! ე:d4 28. ე:d4 შავები დანებდნენ.

უკრაინელებმა ადვილად მოიპოვეს გამარჯვება ცურვაში. მიმზიდველი გამოდგა მაგიდის ჩოგბურთელთა შეხვედრები. მხოლოდ უკანასკნელ თამაშში (შერეულ წყვილში) შეძლეს სტუმრებმა მატჩის მოგება.

ამრიგად, ტრადიციული შეხვედრა საქართველოსა და უკრაინის აკადემიის სპორტულ კოლექტივებს შორის ყაიმით (3:3) დამთავრდა.

თბილისში ყოფნის დროს სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. სურამში ინახულეს ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი, მცხეთაში — სვეტიცხოვლის ტაძარი.

ემზადებიან მოსკოვში ჩამოსასვლელად

ავსტრალიელმა სპორტსმენებმა, ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელებმა თავისუფალი სტილით ცურვაში გ. ფრეზერმა, ლ. კრეპმა, ჯ. ხენრიკსმა, 10 კილომეტრზე რბენის პრიზიორმა ა. ლაურენსმა, ცნობილმა ველომრბოლმა დ. პლუგმა და სხვებმა სიამოვნებით მიიღეს III მსოფლიო თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მიწვევა.

ახალგაზრდულ თამაშებზე წარმატებით გამოსასვლელად ავსტრიელი სპორტსმენები შეუდგნენ სპეციალურ ვარჯიშებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ წვრთნის პროგრამაში ფართო ადგილი დაუთმეს სიმძიმეთა აწევას, როგორც კუნთების გამაგრების საუკეთესო საშუალებას.

ა. ლაურენსმა, რომელიც მსოფლიოში მეხუთე მორბენალია 10 ათას მეტრზე, განაცხადა, რომ მას სურს ერთხელ კიდევ სცადოს ძალა ვ. კუცთან ბრძოლაში და იგი აუცილებლად ჩამოვა მოსკოვში.

ქარსა და წვიმაში

◆

დოსააფის მეექვსე რესპუბლიკური პირველობა ტყვიით სროლაში

◆

დიღომში გამართულ დოსააფის რესპუბლიკური პირველობის ცეცხლის ხაზზე პირველად გამოვიდნენ საბრძოლო შაშხანიდან 300 მეტრზე მსროლელები. მონაწილეებს ყველა მდგომარეობიდან ეძლეოდათ 20-20 ჩასათვლელი გასროლა. უიღბლო გამოდგა შეჯიბრების პირველი დღე. გვერდითი ქარი და განათების ხშირი ცვალებადობა, რაც გამოწვეული იყო ღრუბლის მუდმივი მოძრაობით, უარყოფითად მოქმედებდა მსროლელების შედეგებზე. სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა გაითვალისწინეს ქარის სისწრაფე, მხედველობის ხარისხი და შეჯიბრება ზედმიწევნით ზუსტად დაიწყეს. პირველი გასროლები მნიშვნელოვან წარმატებას პირდებოდა მონაწილეებს, მაგრამ მალე საქმეში ჩაერია ახალი წინააღმდეგობა — დაიწყო წვიმა.

წოლილა მდგომარეობიდან სროლაში შეჯიბრების ლიდერს აჭარელ დ. ბაჯელიძეს მხედველობიდან გაზორჩა ტემპერატურის დაცემა და საში გასროლა ზედიზედ შვიდიანში მოარტყა, მაგრამ საქმეში ჩაერია მწვრთნელი ო. მელია, რომელმაც სროლა შეაწყვეტინა და სათანადო განმარტება მისცა სპორტსმენს. შემდეგში დამიზნება უფრო ზუსტი გამოდგა. დ. ბაჯელიძემ წოლილა მდგომარეობით სროლაში 188 ქულის მოგროვებით დაამყარა დოსაafის რესპუბლიკური რეკორდი და მოიპოვა პირველობა.

ცუდმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა უარყოფითად იმოქმედეს ჩოქილა და დგომილა სროლის შედეგებზე. ჩოქილა სროლაში ქულათა თანაბარი რაოდენობა (174) მოაგროვეს თბილისელმა სპორტსმენებმა ვ. ბუხარინმა და ვ. გაბრიელიანმა. პირველობა მიეკუთვნა ბუხარინს, რომელსაც ათიანებში მოხვედრის მეტი რაოდენობა აღმოაჩნდა.

დგომილა სროლაში გაიმარჯვა ნ. მოროზოვამ (აფხაზეთი — 150 ქ.) თუმცა ასეთივე შედეგები აჩვენეს ვ. კობრეიძემ (ქუთაისი) და რ. ოქრუაშვილმა (თბილისი). წოლილა მდგომარეობაში ნაჩვენებმა კარგმა შედეგმა დ. ბაჯელიძეს საშუალება მისცა მოეპოვებინა დოსაafის ჩემპიონობა სამივე მდგომარეობიდან სროლის ჯამში.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: I — თბილისი, II — აჭარა, III — ქუთაისი.

შეჯიბრების მეორე დღეს ამ ვარჯიშზე ბრძოლაში ჩაებნენ ქალები, რომელთა შორის ამგვარი შეჯიბრება წელს პირველად გაიმართა და საკმაოდ მაღალი შედეგებითაც აღინიშნა. პირველ ცვლაში წოლილა სროლაში ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენეს ქუთაისის გუნდის წარმომადგენლებმა ო. ლიპარტიანმა და ახალგაზრდა ნ. ხანუმოვამ, მაგრამ როცა დამთავრდა შეხვედრები, გამოირკვა, რომ აჭარელ ი. იოფისს ერთი ქულით უკეთესი შედეგი მოეპოვებინა. მასვე მიეკუთვნა უძლიერესის სახელი, მაგრამ იგი ამ წარმატებით როდი დაკმაყოფილდა. შეუცდომლად ისროდა, როგორც ჩოქილა, ისე დგომილა მდგომარეობიდან და სამივე მდგომარეობის ჯამში აჩვენა ყველაზე კარგი შედეგი — 498 ქულა, რაც საგრძნობლად აღემატება პირველი თანრიგის შედეგს. სამივე მდგომარეობიდან სროლის ჯამში პირველი თანრიგის შედეგი აჩვენა აგრეთვე მისმა თანაგუნდელმა ა. შარტანოვამ — 484 ქულა.

აღსანიშნავია, რომ ი. იოფისმა 4 თეთრი ლაქა შეავსო დოსაafის რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში აჩვენა რა წოლილა მდგომარეობიდან სროლაში 178 ქულა, ჩოქილა—171 და დგომილა — 149 ქულა, ხოლო სამივე მდგომარეობის ჯამში 498 ქულა.

აჭარის მსროლელ ქალთა გუნდმა მოაგროვა 1444 ქულა (სამი მონაწილის შედეგი) და დაიკავა პირველი ადგილი. თბილისელი და ქუთაისელი მსროლელები გამოვიდნენ მომდევნო ადგილებზე.

შეჯიბრება გრძელდება.

ღ. გელაშვილი

სურათზე: მწვრთნელი ო. მელია სამიზნეზე ი. იოფისს აჩვენებს მოხვედრათა დაჯგუფებას.

ძირეულ კოლექტივებს შორის

„დინამოს" სპორტულ ბაზებზე ორ თვეს გრძელდებოდა „დინამოს" ძირეული კოლექტივებისა და რაისაბჭოების საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ფრენბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სროლა და ჭადრაკი.

პირველი ჯგუფის გუნდებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა მე-11 რაისაბჭოს კოლექტივი. ქაურმა სპორტსმენებმა პირველი ადგილი მოიპოვეს ფრენბურთში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩნენ მესამე რაისაბჭოს სპორტსმენები, რომლებმაც მოაგროვეს 41 ქულა. 40 ქულით მესამე ადგილზეა მე-6 რაისაბჭოს ფიზკულტურული კოლექტივი.

მეორე ჯგუფის კოლექტივებს შორის სტარტიდანვე დაწინაურდნენ მე-9 რაისაბჭოსა და პირველი სპორტკოლექტივის წარმომადგენლები და ფინიშთან 25-25 ქულით მივიდნენ. პირველობა მიეკუთვნა პირველ სპორტკოლექტივს, რომელსაც ცალკეულ სახეობებში უკეთესი შედეგები აღმოაჩნდა. მესამე ადგილი მოიპოვეს მე-10 რაისაბჭოს სპორტსმენებმა.

აღსანიშნავია, რომ ამგვარმა ღონისძიებებმა საგრძნობლად გამოაცოცხლეს ძირეული კოლექტივების საქმიანობა, გაიზარდა შეჯიბრებებში მონაწილეთა რაოდენობა. ასე ვერ ვიტყვით მეორე და მეხუთე სპორტკოლექტივების, პირველი და მეორე რაისაბჭოების შესახებ, რომლებმაც სპორტის თითო ან ორ-ორ სახეობაში მიიღეს მონაწილეობა.

თ. სისორდია

ქართული ჭიდაობის სარბიელზე

თელავის რაიონის პირველობამ ქართულ ჭიდაობაში გამოავლინა ჩემპიონები, ესენი არიან: გ. შიშვანიშვილი (იყალთო), ა. მარკოზაშვილი (სანიორე), რ. გელდიაშვილი („დინამო"), ბ. წიკლაური (იყალთო), ვ. მეგუთნიშვილი, ვ. მსუქნიშვილი, გ. ავაქიშვილი (ყველა წინანდლიდან), შ. ოხანაშვილი („დინამო").

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა წინანდლის კოლექტივმა, მეორე — სანიორეს გუნდმა.

ი. ორკოდაშვილი

რატომ იბრძვიან ელასტიკური ხიშტით ერთფეროვნად

◆

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა

◆

როცა ფარიკაობაში საქართველოს პირველობის საზეიმო გახსნისათვის მიძღვნილ მონაწილეთა აღლუმზე გუნდები მოეწყვნენ, მაყურებელმა მათ შორის ვერ იხილა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოფარიკავეები. ამ გუნდების შეჯიბრებაზე გამოუცხადებლობა მოწმობს, რომ აქ სპორტის ამ საინტერესო სახეობას არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. თუმცა უნდა ითქვას, რომ გასულ წლებში რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე მათი გუნდები წარმატებით გამოდიოდნენ.

შეჯიბრება ასეთი წესით ტარდება: ჯერ ეწყობა ფარიკაობის სახეობებს შორის გუნდური პირველობა, ხოლო თვითეულის დამთავრების შემდეგ კი პირადი პირველობის გათამაშება. პირველ დღეს გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ესპადრონითა და ელასტიკური ხიშტით ბრძოლაში. კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისის ესპადრონისტთა პირველმა გუნდმა, რომელიც რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. წინასწარი შეხვედრების შემდეგ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თბილისის I, II, ქუთაისის და ზესტაფონის მოფარიკავეებმა.

ყველაზე დაძაბული გამოდგა თბილისის I და ქუთაისის გუნდების შეხვედრები. ქუთაისელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეებს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 3:6 მომდევნო შეხვედრებში გამარჯვებულმა გუნდმა კიდევ ორი წარმატება მოიპოვა. ერთნაირი ანგარიშით (7:2) დაამარცხა ჯერ თბილისის II და შემდეგ ზესტაფონის კოლექტივები.

სპორტულად საინტერესო ბრძოლა გაიმართა ქუთაისისა და თბილისის II გუნდებს შორის. მხოლოდ უფრო მეტმა გამოცდილებამ მისცა შესაძლებლობა თბილისელებს შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაემთავრებინათ — 5:4. ყველა შეხვედრა წააგო ზესტაფონის კოლექტივმა.

ამრიგად, ესპადრონისტთა გუნდურ პირველობაზე ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი I; 2. თბილისი II; 3. ქუთაისი, 4. ზესტაფონი.

მაყურებელთა მოლოდინი არ გაამართლეს ელასტიკური ხიშტით მოფარიკავეებმა. თითქმის ყველა შეხვედრა ჩატარდა სპორტულად დაბალ დონეზე. ეს იმით აიხსნება, რომ ფარიკაობის ამ სახეობაში არ ტარდება სისტემატური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, რის გამო სპორტსმენთა ტექნიკური და ტაქტიკური ილეთების არსენალი ერთფეროვანი და ამასთან ძალზე პრიმიტიულია. აქ თავი გამოიჩინეს თბილისის პირველი გუნდის წევრებმა, რომლებმაც ყველა შეხვედრა მოიგეს და დაიკავეს პირველი ადგილი. მეორე ადგილზეა თბილისის II გუნდი, მესამეზე — ქუთაისი.

7 ივნისს გაიმართა პირადი პირველობის გათამაშება ესპადრონსა და ელასტიკური ხიშტით ბრძოლაში. საქართველოს ჩემპიონის სახელს ესპადრონით ბრძოლაში ერთმანეთს ეცილებოდა 12 სპორტსმენი.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობისათვის ბრძოლა გაიმართა გ. გოგელიასა და ჯ. მაჭავარიანს შორის. შეხვედრა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ტექნიკურად უფრო ძლიერმა გ. გოგელიამ ძლია თავის მოწინააღმდეგეს. როცა გ. გოგელიასა და ნ. ასათიანს შორის შეხვედრა დაიწყო, ყველა მოელოდა რომ თავიდანვე შეტევაზე პირველი გადავიდოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ნ. ასათიანმა მოწინააღმდეგეს ზედიზედ 2 ჩხვლეტა მიაყენა და თავის სასარგებლოდ წაიყვანა ბრძოლა. მაგრამ მან შემდგომში ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და შეხვედრა წააგო მინიმალური ანგარიშით — 4:5. გ. გოგელიასა და ჯ. გოგაძის შეხვედრას პირველისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ქონდა, რადგან დამარცხების შემთხვევაშიც უკვე განაღდებული ქონდა ჩემპიონის სახელი. ამიტომ იყო, რომ გ. გოგელია პასიურად მოქმედებდა, როცა მისი მოწინააღმდეგე ყოველმხრივ ცდილობდა აქტიური ბრძოლით წარმატება მოეპოვებინა. ეს ასეც მოხდა, გაიმარჯვა ჯ. გოგაძემ. მეორე ადგილის მოპოვებისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა ჯ. მაჭავარიანისა და ნ. ასათიანის შეხვედრას. მეტად საინტერესო ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა ნ. ასათიანმა. ახლა უკვე არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ მეორე საპრიზო ადგილის მფლობელი ნ. ასათიანი იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ სპორტის ამ სახეობის ბევრ მოყვარულს ინტერესი არ გამოუჩენია ნ. ასათიანისა და ქუთაისელი დ. კვანტალიანის შეხვედრისადმი. როცა ამ მოფარიკავეთა შორის სასტიკი ბრძოლა გაიმართა გამარჯვების მოპოვებისათვის, მაშინ კი ყველას ყურადღება აქეთკენ იქნა მიპყრობილი. თავიდანვე აღებული ინიციატივა ქუთაისელს შეხვედრის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია და ორთაბრძოლაც მისი გამარჯვებით დამთავრდა. ნ. ასათიანი დამარცხდა აგრეთვე თბილისელ ა. შავნგირაძესთან. შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა ჯ. მაჭავარიანი, მესამე იყო ნ. ასათიანი.

ელასტიკური ხიშტით ბრძოლაში ყველაზე საინტერესო იყო თბილისელების რ. ნებიერიძისა და რ. გოშაძის შეხვედრა. პირველი დედაქალაქის ჩემპიონია და მოსალოდნელი იყო, რომ იგი გაიმარჯვებდა. ადგილების შეცვლამდე ანგარიშით 3:0 ბრძოლა მიჰყავდა თბილისის ჩემპიონს. მაგრამ შემდეგ რ. გოშაძემ ბრძოლის ტაქტიკა შეცვალა, აქტიურ თავდაცვაზე გადასულმა, კარგად გამოიყენა მოწინააღმდეგის ერთფეროვანი ტაქტიკა, მოიგო ბრძოლა ანგარიშით 5:3 და მასთან ერთად რესპუბლიკის ჩემპიონის სახელიც.

შეჯიბრება გრძელდება...

ტ. მესხი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
ზ. ჯაფარიძე.

საიპოდრომო მოტორბოლა

ერევანში ჩატარდა დოსაafის ზონალური შეჯიბრება მოტოციკლებით საიპოდრომო რბოლაში. მონაწილეებს 1.600-მეტრიანი წრე ექვსჯერ უნდა გაერბინათ. გამარჯვებული გუნდი გადიოდა დოსაafის საკავშირო შეჯიბრების ფინალში, რომელიც უნდა ჩატარდეს ოდესაში.

125 კუბიკური სმ კლასის მოტოციკლებით პირველობისათვის 6 სპორტსმენი იბრძოდა. ფინალში გაიმარჯვა თბილისელმა ე. გრიგორიანმა, რომელმაც დისტანცია დაფარა 7.36,0. 350 კუბ. სმ კლასის მოტოციკლებით შეჯიბრებაში პირველობას ეცილებოდა ერთმანეთს უმთავრესად ორი სპორტსმენი, ერევნელი ა. კაზარიანი და თბილისელი ო. ხარაძე. ფინიშთან პირველი მივიდა ერევნელი სპორტსმენი. გამარჯვებულის დროა — 7.11,0.

750 კუბ. სმ მოტოციკლებით რბოლაში კონკურენციის გარეშე იყო თბილისის გუნდის წარმომადგენელი გ. შარაფიანი. მან ყველა მეტოქე ჩამოიტოვა ნახევარი წრით, დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი და აჩვენა აბსოლუტურად უკეთესი დრო — 6.44,0.

გუნდურ ჩათვლაში წინ იყვნენ თბილისის დოსაafის პირველი გუნდის წევრები.

შ. ლაჩაშვილი,
ნ. დავითაია.

სროლა, ცურვა, კროსი

დამთავრდა საქართველოს პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში

◆

შეჯიბრების მესამე დღეს, საქართველოს პირად-გუნდური პირველობის მონაწილე ხუთჭიდლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 50 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში (დგომილა).

ცეცხლის ხაზზეა პირველი ოთხეული. ი. მიხაილიცკი (აჭარა), ა. პევცოვი (თბილისის I გუნდი), ი. საკი (თბილისის II გუნდი) და აფხაზეთის წარმომადგენელი ი. ახვლედიანი. 200 შესაძლებლიდან აქ ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ი. ახვლედიანს, რომელმაც დააგროვა 191 ქულა. ეს შედეგი საუკეთესო გამოდგა აგრეთვე დღის გამშვებლობაში, რადგან ვერც ერთმა მონაწილემ ვერ შეძლო მისი გაუმჯობესება. მეორე ადგილზე ამ დღეს იყო ა. პევცოვი, რომელიც სოხუმელ სპორტსმენს 4 ქულით ჩამორჩა.

წარმატება ხვდა წილად თბილისელ გ. სულხანიშვილს, რომელიც სულ ორიოდე თვეა, რაც მეცადინეობს სექციაში. ამ შეჯიბრებაზე იგი სხვა თანატოლებთან ერთად თანამედროვე ოთხჭიდში გამოდიოდა (ჭაბუკთა პროგრამა). სულხანიშვილმა სროლაში 184 ქულით მოიპოვა საერთო მესამე ადგილი, ხოლო ჭაბუკთა შორის — პირველი.

შეჯიბრების მესამე დღის შემდეგ ლიდერთა შორის მოხდა ცვლილება. შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა ი. მურომცევი, ხოლო მანამდე მეორე ადგილზე მყოფ თბილისელ ა. კრავჩენკოს ორჯერ უმტყუნა პისტოლეტმა, რისთვისაც მან დაკარგა საპრიზო 20 ქულა და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. მეორე ადგილზე დამკვიდრდა ა. პევცოვი.

რაც უფრო დასასრულს უახლოვდებოდა პირად-გუნდური პირველობა, მით უფრო ნათელი ხდებოდა სურათი როგორც გუნდურ, ისევე პირად პირველობებში. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ თბილისელები. პირად პირველობაში კი მურომცევი, რომელმაც მეოთხე დღესაც არავის დაუთმო საერთო პირველი ადგილი და 300 მეტრის ნებისმიერი სტილით 4.20,2 გაცურვით მან II ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე ცურვაში გამოვიდა ა. პევცოვი, მისი დროა 4.03,8. ჭაბუკთა შორის საერთო მეორე ადგილზე მყოფმა ი. გორდიენკომ გადმოინაცვლა I ადგილზე, მისი შედეგია 4.22,7.

შეჯიბრების დასკვნით დღეს „მხედრები", „მსროლელები", „მოფარიკავეები" და ბოლოს „მოცურავეები" გამოვიდნენ „მძლეოსნების" როლში, რომლებიც ხუდადოვის ტყის რაიონში მკვეთრად დასერილ დისტანციაზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. საუკეთესო აღმოჩნდა ბათუმელი ი. მიხაილიცკი. ეს მანძილი მან დაფარა 15.10. მეორეზეა — ი. ახვლედიანი — 15.20.

ამ სახეობით დამთავრდა საქართველოს 1957 წლის პირად-გუნდური პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. პირველ ადგილზეა თბილისის I ნაკრები, მეორეზე — II გუნდი, მესამეზე — აჭარის კოლექტივი. პირად პირველობაში რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ი. მურომცევმა (4161 ქულა), მეორეზეა ა. პევცოვი (3681 ქულა), მესამეზე — ა. კრავჩენკო (3358 ქულა).

ოთხჭიდელ ჭაბუკთა შორის საქართველოს პირველობა მოიპოვა თბილისის ჭაბუკთა კოლექტივმა, მეორეზეა აფხაზეთი. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ი. გორდიენკომ (თბილისი).

უ. ჭანჭალეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

საერთაშორისო მატჩები

ამ დღეებში საბჭოთა ფეხბურთელებმა ჩაატარეს რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი.

კაუნასში „ბურევესტნიკმა“ თავის მინდორზე მიიღო სტუმრები ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკიდან—სტალინის „დინამო“. მატჩი მოიგო „ბურევესტნიკმა“ ანგარიშით 3:0.

• • •

ფინეთის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე შეხვედრა ჩაატარა „ბ“ კლასის გუნდმა — ტალინის „დინამომ“. დინამოელებმა ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ჰელსინკის ნაკრები გუნდი.

• • •

ქ. სტალინოს გუნდი „შახტიორი“ ამხანაგურ შეხვედრებს ატარებს უნგრეთში. სტალინოელებმა წააგეს 2 მატჩი: ქ. შალგოტარიანში ისინი დამარცხდნენ ადგილობრივ თანაკლუბელებთან — 1:3, ხოლო დიოშდიერში — ვტკ-სთან — 1 4.

• • •

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა მატჩი ბრაზილიის გუნდს „ბაიასა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა „ბაიამ“ — 2:1.

• • •

6 მაისს რუმინეთის გუნდი „დინამო“ (ქ. სტალინი) მეორე მატჩში შეხვდა კიევის „დინამოს“. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა—4:1.

• • •

გუშინ ლენინგრადში გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში. ადგილობრივმა „ზენიტმა“ მიიღო ბრაზილიის გუნდი „ბაია“ და დაამარცხა იგი ანგარიშით 4:3.

მდგომარეობა 9 ივნისისათვის ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	10	6	3	1	16:6	15
„დინამო“ მ.	10	6	3	1	12:5	15
„დინამო“ თბ.	11	7	1	3	17:11	15
„სპარტაკი“ მ.	11	5	3	3	16:9	13
„ტორპედო“	10	5	2	3	17:10	12
„ლოკომოტივი“	10	5	2	3	14:11	12
ცსკ მო	11	5	1	5	17:16	11
„ბურევესტნიკი“	11	1	6	4	7:10	8
„შახტიორი“	10	3	2	5	6:11	8
„კრ. სოვეტოვი“	10	1	4	5	3:10	6
„ზენიტი“	10	1	3	6	8:22	5
„სპარტაკი“ მნ.	10	1	2	7	3:15	4

• • •

მოსკოვი. 6 ივნისი. აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „ლოკომოტივი“ და ცსკ მო.

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“.

ამ მატჩმა ჩვენი ბევრი ნაკლოვანება გამოავლინა

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 7 ივნისი.

„ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ (ინგლისი) — „დინამო“ (თბილისი) — 3:0 (2:0).

„ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — სანდერსი, ჰაუ. კენედი, ვილიამსი, სეტერსი, ბარლოუ, გრიფინი, რობსონი, ალენი, კევანი, ჰორობინი.

„დინამო“—ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშიპა, დავარაშვილი, ა. კოტრიკაძე, რამიშვილი, ხახაია, გაგნიძე, ზაზროშვილი, ლოლობერიძე, ჭკუასელი.

მსაჯი ლ. ლემეშიჩი (იუგოსლავია).

ფეხბურთი თავისთავად ლამაზი სანახაობაა და მას არ ესაჭიროება ზედმეტად, თუ შეიძლება ითქვას, ხელოვნურად გალამაზება. გარდა ამისა, ესაა ათლეტური, ძალისმიერი თამაში, სადაც ნებადართულია ბურთისათვის ბრძოლაში სრული ძალით იქნას გამოყენებული მოთამაშის ფიზიკური მონაცემები. მაგალითად, თუ ერთი ფეხბურთელი მეორეზე უფრო უკეთესადაა მომზადებული ფიზიკურად, თუ აქვს მეტი ძალა, საკუთარი სხეულის მასა, სიმალლე, თუ მას ფეხბურთის წესების სრული დაცვით შეუძლია თავისი ეს უპირატესობა მაქსიმალურად გამოიყენოს თამაშის პროცესში — მან კიდეც უნდა გამოიყენოს ყველაფერი ეს.

ასე თამაშობდა 7 ივნისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ გუნდი. არც ერთი მოთამაშე არ ცდილა ზედმეტი ეფექტი და სილამაზე მიეცა თავისი თამაშისათვის — ყოველგვარ სიტუაციაში, ყოველ მომენტში თერთმეტივე ინგლისელი მოთამაშე (და თუ სათადარიგო მოთამაშეებსაც მოვათვლით, რომლებიც შემდეგ გამოვიდნენ მინდორზე — ცამეტივე) ცდილობდა გაეკეთებინა მხოლოდამხოლოდ ის, რაც იმ მომენტში იყო საჭირო. 90 წუთის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე მათგანს რაიმე ტრიუკის ან „ფოკუსისათვის“ დაეკარგა დრო. მკაცრ სათამაშო დისციპლინას დამორჩილებული იყვნენ ყველანი და ბრწყინვალე ინდივიდუალური ტექნიკა შესანიშნავად იყო შერწყმული კოლექტიურ თამაშთან. არ ყოფილა საერთო გეგმიდან გადახვევის სულ უმნიშვნელო შემთხვევაც კი.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა გუნდები მოეწყვნენ მინდვრის შუაგულში, აშკარა იყო ინგლისელთა დიდი ფიზიკური უპირატესობა თბილისელებთან შედარებით. ეს კიდევ უფრო ცხადი შეიქმნა, როცა მოთამაშეები გაიშალნენ მინდორზე და თავიანთი „საშტატო განრიგების“ მიხედვით დაწყვილდნენ: „ვესტ ბრომვიჩის“ თვითეული მოთამაშე ათლეტური აგებულების სპორტსმენია და ჩვენ ყველანი ერთხელ კიდევ იმისა მოწმენი ვიყავით, რომ აზრი, თითქოს დიდი ტანის ფეხბურთელები მოუქნელი, ნაკლებად მოძრავი, ფლეგმატურნი არიან და უჭირთ ტექნიკის ათვისება — მცდარი და მავნე აზრია. არც ერთი ბრომვიჩელი არ იყო საშუალო ტანის და ეს „მძიმე წონის“ გუნდი სისწრაფეშიც, მოქნილობაშიც, მოძრაობაშიც ხამაგალითო იყო, ხოლო ტექნიკაზე ლაპარაკიც ზედმეტია — ინგლისელებს ჩინებული ტექნიკა აქვთ.

სტუმრები მშვენივრად აჩერებენ ბურთს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ გაუჩერებია ბურთი თუ მას შესაძლებლობა ჰქონდა უშუალოდ დაეწყო კომბინაცია ან გაეგრძელებინა იგი. ჩვენ კი მივეჩვიეთ იმას, რომ მოთამაშემ აუცილებლად უნდა გააჩეროს ბურთი, ძირს დაუშვას იგი, დაამუშაოს და მერე ეძებოს პარტნიორები კომბინაციისათვის. ისინი კი ამასობაში მჭიდროდ არიან აყვანილი მოწინააღმდეგეთა მიერ.

თბილისელები ცდილობდნენ დაბალი, სწრაფი გადაცემებით ეთამაშათ და ძირითადად „ხმელეთზე“ მოეხდინათ თავიანთი უპირატესობის რეალიზაცია სისწრაფეში, მაგრამ ეს ამაო ცდა იყო ინგლისელებს მაშინვე „ზემო სართულზე“ გადაჰყავდათ ბურთი, აქ კი, ჰაერში, ისინი სრული ბატონ-პატრონნი არიან. ყოველ მაღალ ბურთზე ახტომისას, ჩვენი მოთამაშე ძლივს წვდებოდა მათსას მხრამდე და ყელამდე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ყველა მაღალი ბურთი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონისა“ იყო. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ ძიაპშიპა, რომელიც წარმატებით იბრძოდა როგორც ჰაერში, ისე მიწაზე.

არც ერთ ინგლისელ მოთამაშეს არ ეშინოდა დაღლისა — გუნდის მექანიზმი, მისი მოტორი მუშაობდა განუწყვეტლივ, შეუჩერებლად. მათთვის არ არსებობს „შავი“ და „თეთრი“ სამუშაო, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთმოქმედების პრობლემა გუნდში იდეალურადაა გადაჭრილი როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. მათ მთლიანად შეძლეს თავიანთი გეგმის განხორციელება თამაშში და შეძლეს აეძულებინათ მოწინააღმდეგე დამორჩილებოდა ამ გეგმას.

ერთი სიტყვით, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ ესაა მაღალი კლასის გუნდი, რომლის მსგავსი ომისშემდგომ წლებში თბილისში არ ჩამოსულა. ინგლისელებმა ამ დღეს ბრწყინვალედ ითამაშეს და წარმატებით დაიცვეს ინგლისის პროფესიონალური ფეხბურთის პრესტიჟი.

ახლა ჩვენი გუნდის შესახებ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დინამოელებმა „ვესტ ბრომვიჩს“ ვერ აჩვენეს ნამდვილი ქართული ფეხბურთის ძალა — გუნდი ამ დღეს თავის შესაძლებლობებზე მნიშვნელოვნად დაბლა თამაშობდა. ამაში საგრძნობი როლი ითამაშა მცდარმა წინასწარმა ინფორმაციამ, თითქოს ინგლისელი ფეხბურთელები მოკლებული არიან სისწრაფეს, თამაშობენ ნელა, მხოლოდ ზონაში, თითქოს მაღალი ტექნიკა მათ მხოლოდ ადგილზე მოქმედებაში გააჩნიათ და მოძრაობაში მას კარგავენ. თავისი მიზეზები ჰქონია ფრედ ნათამაშევ მატჩსაც „ზენიტის“ გაძლიერებულ გუნდთან ლენინგრადში: „ბრომვიჩის“ მოთამაშეთა დაღლილობა მგზავრობით, ნაწვიმარი გრუნტი, არასაკმარისი საწვრთნელი მომზადება (ინგლისში თვეზე მეტია სეზონი დამთავრდა და მოთამაშეები შვებულებაში იყვნენ).

დინამოელებმა თავიდანვე შეზღუდულად, ერთობ „მორიდებით“ და უინიციატივოდ დაიწყეს თამაში. დაცვა საშუალებას აძლევდა მოწინააღმდეგე ფორვარდებს მიეღოთ ბურთი, რის შემდეგ მისი წართმევა მეტად ძნელი იყო. თავდამსხმელები თამაშობდნენ ერთფეროვნად, შაბლონურად, შეჯგუფებულად. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა მარჯვენა ფრთა (ხახაია-გაგნიძე), ზაზროშვილი დიდი მოგვიანებით, ნელა გადიოდა გადაცემის მისაღებად, ლოლობერიძე ზედმეტად აჩერებდა ბურთს და თითქმის ყოველთვის უკან გამოჰქონდა იგი. მხოლოდ ჭკუასელმა შეძლო რამდენჯერმე გარღვევაზე გასვლა დრიბლინგით, მაგრამ ისიც ყოველ „მოხერხებულ“ შემთხვევას ეძებდა წაქცეულიყო შეტაკების დროს და საჯარიმო ეთხოვა მსაჯისათვის, რასაც ეს უკანასკნელი სამართლიანად არ აქცევდა ყურადღებას.

არ იქნა გამოყენებული რამდენიმე კარგი მდგომარეობა. მაგალითად, გაგნიძე ორჯერ პირისპირ დარჩა მეკარესთან და ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რეალური შანსი. დარწმუნებული ვართ, მისი კოლეგა ინგლისელთა გუნდიდან — შუამარბი რობსონი არც ერთ ამ შესაძლებლობას არ დაკარგავდა.

სრული ძალით, სწრაფ ტემპში თბილისელებმა ითამაშეს მხოლოდ მეორე ტაიმის პირველი 15 წუთი და იმ დროის განმავლობაში მათ მტკიცედ ეპყრათ უპირატესობა, მაგრამ შემდეგში მწვრთნელის მიერ დასახული გეგმა ვერ იქნა განხორციელებული და სტუმრებმა კვლავ შეძლეს სურვილისამებრ წარემართათ თამაში.

პირველი ბურთი „დინამოს“ კარში გაიტანა ჰორობინმა, ხოლო მე-40 წუთზე კევანმა ანგარიში ორამდე გაზარდა. შესვენების შემდეგ იმავე კევანმა მესამედ აიძულა თბილისელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

მატჩი, რომელიც მეტად გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, კარგად ჩაატარა მსაჯმა ლ. ლემეშიჩმა.

ბ. პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.
გ. ქორქია.

• • •

სურათზე: ა. ჭკუასელი ორ ბრომვიჩელთან ბრძოლის დროს.

თბილისის ოსკ-ისა და ერევნის „სპარტაკის“ კალენდარული მატჩი

ერევანი. (ჩვენი კორ.). 6 ივნისს აქ გაიმართა „ბ“ კლასის მესამე ზონის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ძველ მოწინააღმდეგეებს—ადგილობრივ „სპარტაკსა“ და თბილისის საოლქო სპორტული კლუბის გუნდებს შორის.

სპარტაკელებმა მეტად სწრაფი შეტევებით დაიწყეს თამაში და მალე ეფექტურად გაითამაშეს კომბინაცია ვანუნიკოვის გაყვანით საჯარიმო მოედნის ცენტრში. ერევნელთა ცენტრალური თავდამსხმელი გავიდა კარის უშუალო სიახლოვეს, მაგრამ სტუმრების მეკარე ივანოვმა გაბედული ნახტომით ააცალა მას ბურთი ფეხებიდან.

შეხვედრა ერევანში

პირველი 15-20 წუთის განმავლობაში ინიციატივა ერევნელთა მხარეს იყო, მაგრამ მათი უძლიერესი თავდამსხმელები დალაქიანი და კეგიანი საიმედოდ ჩაჭკეტეს ჭანჭალეიშვილმა და ხელაძემ, ხოლო ცალმხრივი იერიშები მარცხენა ფრთიდან უშედეგოდ მთავრდებოდა.

არმიელებმა თანდათან გააძლიერეს თამაში, მათი თავდამსხმელები სულ უფრო და უფრო სახიფათოდ უტევდნენ მოწინააღმდეგეს, ხშირად გადიოდნენ კართან და „სპარტაკი“ გადარჩა აშკარა გოლს — ბეგლარიანმა გაიტანა ბურთი, რომელიც არ იქნა ჩათვლილი ბაბაევის თამაშგარე მდგომარეობაში ყოფნის გამო.

კიდევ უფრო გაძლიერდა სტუმართა იერიშები, როცა ბაბაევი შეცვალა მიქაძემ. ცვლილება მოხდა „სპარტაკის“ რიგებშიც, სადაც აქტიურად ჩაება ბრძოლაში ახლად შემოყვანილი აბრამიანი.

სახიფათო მომენტები იქმნებოდა ორივე საჯარიმო მოედანზე, მაგრამ უმეტესობა მათგან „სპარტაკის“ კარის სიახლოვეს ხდებოდა. მთელი თავისი ოსტატობის გამოჩენა დასჭირდა ერევნელთა მეკარეს ზატიკიანს, რომელიც ზედიზედ იღებდა ძნელ ბურთებს. ერთ-ერთი მათგანი, მელაშვილის მიერ დარტყმული ბურთი, მან აკრობატული ნახტომით მოიგერია. მალე „სპარტაკის“ კარი გოლისაგან იხსნა ძელმა მელაშვილის ძლიერი დარტყმის შემდეგ.

ვერ გამოიყენა კარგი მდგომარეობა ნორაკიძემ. მან შეძლო ფოლადიანის მოტყუება, თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი კარიდან გამოსულ ზატიკიანს, მაგრამ იგი მოხვდა ძელს და მინდორს გარეთ გავიდა.

სპარტაკელთა იერიშები უფრო ეპიზოდური იყო, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა მათ გამარჯვება მოუტანა: მარჯვენა ფრთაზე ადგილების ცვლით გათამაშებული კომბინაციის შემდეგ კეგიანმა მაღალი ბურთი გაგზავნა კარისაკენ. ნაცვლად მისი კარს უკან გადაყვანისა, ივანოვმა ხელში დაჭერა სცადა. კარის წინ შექმნილ არეულობაში ერევნელებმა გაიტანეს გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ თამაშში.

თბილისელებმა ვერ გამოიყენეს კარის აღების შესაძლებლობანი და დამარცხდნენ ანგარიშით 0:1.

ა. სირუნიანი

• • •

სურათზე: თბილისელთა მეკარე ივანოვი იღებს მაღალ ბურთს.

„ლელო“
მე-3 გვ. № 69 (1083)



ხელ მოუპოვებია უძლიერესის სახელი დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. 1955 წელს იგი ევროპის ჩემპიონიც იყო.

თამაში დაიწყო მეტად მაღალ ტემპში. თავიდანვე წინ წავიდნენ ჩვენი კალათბურთელები (ოზეროვი, ვალდმანისი, სტონკუსი, ზუბკოვი, სემიონოვი), რომლებმაც თამაშის პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 28:24.

შესვენების შემდეგ კვლავ უტევდა ჩვენი გუნდი. სტონკუსის, ზ უ ბ კ ო ვ ის, ვალდმანისის კალათში ნატყორცნი ბურთები ხშირად მიზანს აღწევდა. მატჩი მოიგეს საბჭოთა კალათბურთელებმა ანგარიშით 67:49.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — უნგრეთის „ვაშაშისა" და ლენინგრადის „ვოდნიკის" შეხვედრის შემდეგ სტუმრები ესაუბრებიან ლენინგრადელთა გუნდის კაპიტანს ი. ზენგერს (მარცხნიდან მეოთხე). მარჯვნივ — უნგრეთის და ჩვენი ქვეყნის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ლ. დორენსკისა და ს. პრეობრაჟენსკის.

რესპუბლიკური რეკორდები

◆

დამთავრდა დედაქალაქის პირველობა ძალოსნობაში

◆

ლენინის სახელობის სპორტდარბაზში თბილისის 1957 წლის პირადგუნდური პირველობა ძალოსნობაში 6 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაყურებელიც შეიკრიბა, მაგრამ... ბურბუშელაში ჩაფლული და ოფლში გაწურული დურგლები მოძრაობდნენ ფიცარნაგზე. რანდვამ და ძელების მორგებამ კიდევ ნახევარ საათს გასტანა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო კარგახნის წინ „მოთელილი" უმჩატესი წონის შტანგისტების შეხვედრა, რომელთა შორის არ იყო თბილისის გასული წლის ჩემპიონი სპორტის ოსტატი გრიგორიანი (მსუბუქ წონაში გადასვლის გამო). ამან საგრძნობლად გაუადვილა პირველთანრიგოსან რ. დათიკაშვილს („კოლმეურნე") გამარჯვების მოპოვება. ამ საპრიზო ადგილზე გამოსულმა გ. კოპალოვმა („ენერგია") 80 კილოგრამი აიტაცა და დაამყარა რესპუბლიკური საბჭოს ახალი რეკორდი.

ქვემსუბუქ წონაში ჩემპიონობისათვის ბრძოლა გაჩაღდა ახალგაზრდა სპორტის ოსტატ ა. გრიგორიანსა („კოლმეურნე") და საერთაშორისო შეხვედრების არაერთგზის პრიზიორ დინამოელ ხ. ხანუკაშვილს შორის.

ორი მოძრაობის შემდეგ ხანუკაშვილს მოგროვებული ჰქონდა 207,5 კგ, გრიგორიანს — 197,5, მაგრამ მესამე მოძრაობა ბკვრაში ხანუკაშვილმა აჩვენა 125 კგ, გრიგორიანი კი მხოლოდ ამის შემდეგ ჩაება შეჯიბრებაში. მან ბკვრა დაიწყო 127,5 კილოგრამიდან იმ მიზნით, რომ დასწეოდა 10 კილოგრამით წინ წასულ ხანუკაშვილს. გრიგორიანმა ეს წონა დაძლია, მაგრამ შემდგომი ცდები უნაყოფო გამოდგა და სამჭიდში 325 კგით მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

მსუბუქ წონაში გასული წლის ჩემპიონს ბურევესტნიკელ ტ. წერალოვს პირველობის ძლიერი მეტოქე გამოუჩნდა. ქვემსუბუქი წონიდან გადმოინაცვლა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა უძლიერესმა ძალოსანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დინამოელმა რ. ჩიმიშკიანმა. სამჭიდის ჯამში მან 345 კგ დააგროვა და 20 კგ-ით გაუსწრო, მეორე ადგილზე გამოსულ წერალოვს. ქვესაშუალო წონაში სამჭიდის ჯამში 370 კგ დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა გალოიანმა. საშუალო წონაში ყუბანეიშვილის („კოლმეურნე") უპირატესობა აშკარა იყო და პირველობაც მას დარჩა. ქვემძიმე წონაში ჩემპიონობისათვის ბრძოლა ძირითადად დინამოელ კ. ებრალიძესა და ბურევესტნიკელ გ. კოშაძეს შორის გაიმართა. ორთაბრძოლაში დამყარდა რესპუბლიკის ახალი რეკორდი, რომელიც ებრალიძეს ეკუთვნის.

კონფლიქტით დაიწყო მძიმე წონის ძალოსანთა შეჯიბრება. ქვემძიმე და მძიმე წონის სპორტსმენთა შეჯიბრება მსაჯთა კოლეგიამ შეაერთა და ამის გამო ამ წონითი კატეგორიის მონაწილეების აწონვაც ერთად ჩატარდა. ამის შესახებ წინასწარ არაფერი იცოდნენ არც მონაწილეებმა და არც გუნდების წარმომადგენლებმა (საერთოდ ამ შეჯიბრებაზე მსაჯთა კოლეგიის დაუდევრობის გამო შეჯიბრების განრიგი მონაწილეთა აწონვისა და შეჯიბრების დროის შესახებ არ ყოფილა გამოკრული). ამ გაუგებრობის მსხვერპლი გახდა რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ძალოსანი ი. ქართველიშვილი, რომელმაც ერთი წუთით დააგვიანა და მსაჯთა კოლეგიამ აწონვაზე არ დაუშვა. ქართველიშვილი კონკურსგარეშე ჩაება შეჯიბრებაში და ყოველგვარი კონკურენციის გარეშეც აღმოჩნდა. უახლოეს მოწინააღმდეგეს — პირველ ადგილზე გამოსულ სულიაშვილს სამჭიდის ჯამში 85,5 კილოგრამით გაუსწრო, ხოლო აჭიმვაში საქართველოს ახალი რეკორდიც დაამყარა — 143 კგ.

17 ქულით გუნდური პირველი ადგილი „ბურევესტნიკის" გუნდმა დაიკავა. მეორე ადგილზე 20 ქულით გამოვიდა „დინამო", მესამეზეა „კოლმეურნე", რომელმაც უკან ჩამოიტოვა „სპარტაკი" და „პიშჩევიკი".

ა. ბარნოვი

ამას წინათ სსრ კავშირს ეწვიენ უნგრეთის წყალბურთელთა გუნდი „ვაშაში" და კალათბურთელთა ნაკრები, რომლებმაც რამდენიმე შეხვედრა ჩაატარეს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებთან. უნგრელი წყალბურთელები პირველ მატჩში შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედოს". პირველ ტაიმში სტუმრებმა გამოიყენეს რა რიცხობრივი უპირატესობა, გახსნეს ანგარიში 1:0, მაგრამ მალე, ჯერ აგეევმა, ხოლო შემდეგ ტეპლოვმა ორი საპასუხო ბურთი გაიტანეს. ანგარიშით 2:1 გამარჯვება მოიპოვა დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი ს „ტორპედომ". მეორე მატჩი უნგრელ სპორტსმენებს ჰქონდათ ლენინგ რ ა დ ი ს „ვოდნიკთან". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 5:5.

დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა უნგრეთისა და სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრისადმი. უნგრეთის გუნდი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. მას არაერთ-

რ ე ვ ა ნ შ ი

გორის საჭიდაო სარბიელზე ჩატარდა ქალაქის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ პედინსტიტუტის, ბამბეულის კომბინატის, მესამე ტრესტის, „დინამოს", სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და განათლების განყოფილების გუნდები.

გასული წლის პირველობამდე ქალაქის უცვლელი ჩემპიონები იყვნენ პედინსტიტუტის მოჭიდავეები, მაგრამ შარშან დამარცხდნენ ბამბეულის კომბინატის მოჭიდავეებთან გამართულ ფინალურ შეხვედრაში და პირველად დაჰკარგეს უძლიერესის სახელი. მიმდინარე ჩემპიონატი საინტერესო იყო იმით, რომ კომბინატელებს არ სურდათ მოპოვებული უპირატესობის დაკარგვა, ხოლო სტუდენტები იბრძოდნენ ქალაქის ჩემპიონობის დაბრუნებისათვის.

შეხვედრები ყველა წონით კატეგორიაში მეტად საინტერესოდ ჩატარდა. სტუდენტებმა შეძლეს რევანშის აღება და მოიპოვეს გუნდური პირველი ადგილი, ბამბეულის კომბინატი გამოვიდა მეორე ადგილზე, მესამე ადგილი მოიპოვეს დინამოელმა მოჭიდავეებმა.

ა. გელაშვილი

ყოველ მხრიდან

უცნაური სანაძლეო

იტალიის ფეხბურთის გუნდებმა „პისტრინოსმა" და „უნიონ სპორტივამ" დადეს ასეთი სანაძლეო. წაგებული გუნდის წევრებს ექვსი თვით უნდა გაეპარსათ თმა და მოეშვათ წვერები. შეხვედრა წააგო „პისტრინოს" გუნდმა — 1:2.

რვა დღის შემდეგ „პისტრინოსის" მოთამაშეები თავის ჯგუფში ატარებდნენ მორიგ შეხვედრას. გუნდის წევრები მაყურებლის წინაშე გამოცხადდნენ მზეზე მოლაპლაპე თავებით და მოკლე წვერებით.

თამაშის ხანგრძლივობა

როგორც ცნობილია, ფეხბურთელთა თამაში გრძელდება 90 წუთს, მაგრამ ერთ-ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა დაკვირვების შედეგად მიიღო ასეთი სურათი: გვერდითი ხაზიდან ბურთის 62-ჯერ შემოგდებამ წაიღო 6 წუთი და 36 წამი. 25 კუთხურ დარტყმას დაჭირდა 5 წუთი და 7 წამი. 28 საჯარიმო დარტყმას—4 წუთი და 29 წამი. ერთ-ერთი მოთამაშის ტრავმაზე დაიხარჯა 44 წამი, კარიდან 29 ბურთის მოწოდებისათვის—6 წუთი და 10 წამი, სამი გოლის გატანაზე—52 წამი. ამრიგად, ჟურნალისტის გამოანგარიშებით 23 წუთისა და 58 წამის განმავლობაში ბურთი არ იმყოფებოდა თამაშში. მაყურებელთა უმეტესობას კი —განაცხადა ჟურნალისტმა — წამდა, რომ ისინი თამაშს 90 წუთის მანძილზე უყურებდნენ.

ყველაზე დიდი ორგანიზაცია

ყველას აინტერესებს, რამდენი ფეხბურთელია მსოფლიოში? ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობა ამის შესახებ. ფედერაციაში გაერთიანებულია 92 სახელმწიფო, რომელიც მოიცავს 121.826 ათას კლუბს და 848.606 გუნდს, ამას კიდევ უნდა დაემატოს 113.957 მსაჯი.

ერთმა საზღვარგარეთელმა ჟურნალისტმა გონებამახვილურად აღნიშნა, რომ „ფიფა" არის ისეთი საერთაშორისო ფედერაცია, ან ისეთი სპორტული სახელმწიფო, სადაც მზე არასოდეს არ ჩადის. ამით მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ფედერაციაში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაა გაერთიანებული.

იშვიათი მსოფლიო რეკორდი

ავსტრალიის კრიკეტის სპორტულმა კავშირმა ძვირფასი საჩუქრით დააჯილდოვა თავისი თანამემამულე ვინმე უილიამ ფერგიუსონი, რომელიც ცნობილი სპორტსმენი არასდროს არ ყოფილა და მხოლოდ გულშემატკივარის მორიდებულ როლს ასრულებდა. დაჯილდოებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ფერგიუსონს თავისებური მსოფლიო რეკორდი აქვს დამყარებული. იგი დაესწრო 179 საერთაშორისო შეჯიბრებას კრიკეტში. მაგრამ ეს კიდევ, როგორც იტყვიან, საქმის ერთი მხარეა. მას ამ შეჯიბრებებზე დასასწრებლად თავის საცხოვრებელი ბინიდან მელბურნამდე და უკან დაუფარავს 80.000 კილომეტრამდე.

უჩვეულო ანგარიში

ბრაზილიაში ფეხბურთელთა ორი კლუბის „ვანდერეს კონკორდიასა" და „ფკ სარნიენტოს" გუნდების თამაში დამთავრდა ასტრონომიული ანგარიშით 71:1. თამაშის პირველსავე წუთებზე „სარნიენტოს" ფეხბურთელებმა გაიტანეს ერთი ბურთი, მაგრამ ამის შემდეგ მსაჯის რაღაც გადაწყვეტილებას „გაეფიცნენ", უარი თქვეს თამაშზე და დახხდნენ მოედანზე. „გაფიცული" გუნდიდან მოედანზე მეტოქედ დარჩა მხოლოდ ერთი მოთამაშე, რომლის მოვალეობას შეადგენდა გატანილი ბურთის გამოტანა კარიდან და თამაშის ცენტრიდან დაწყება. რასაკვირველია, გამარჯვებულ გუნდს უფრო მეტი ბურთის გატანა შეეძლო, მაგრამ ფეხბურთელები გაერთნენ ბურთების გატანით, რათა გაეუმჯობესებიათ პირადი რეკორდები.

მეორე კურიოზულ შედეგს ადგილი ჰქონდა დანიაში „სპორტფერაინგის" და „სკ ვიბორის" გუნდების შეხვედრის დროს. ვიბორმა გაიმარჯვა ანგარიშით 40:0. ამ შემთხვევაში „გაფიცვას" ადგილი არ ჰქონია, რადგან მოედანზე ყველა 22 მოთამაშე იმყოფებოდა.

მაღალი შედეგები

უკანასკნელ ხანებში ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნებმა აჩვენეს მთელი რიგი მაღალი შედეგები. წარმატებით დაიწყო სეზონი ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიგრძეზე ხტომაში გ. ბელმა. კოლუმბუსში (ოგაიოს შტატი) იგი გადახტა 7 მ. და 83 სმ. აქვე დ. ოუენმა ბირთვი კრა 17 მ 22 სმ. ცოტა ხნის შემდეგ გ. ბელი გამოვიდა ფილადელფიაში, სადაც აჩვენა 7 მ 96 სმ.ვარაუდობენ, რომ გ. ბელი მალე გააუმჯობესებს მძლეოსნობის უძველეს მსოფლიო რეკორდს, რომელიც 1935 წლის 25 მაისს დაამყარა სახელგანთქმულმა ჯესი ოუენსმა — 8 მ 13 სმ. დემოინეში (აიოვას შტატი) მოწყობილ შეჯიბრებაზე ტ. უილერმა 1 მილი მანძილი დაფარა 4 წუთსა და 6,9 წამში. სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა ჰ. გემბლმა — 7 მ 41 სმ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ა. ორტერმა ბადრო ტყორცნა 54 მ 20 სმ. ახალგაზრდა დ. ოუენმა ბირთვი ჰკრა 17 მ 51 სმ. შუბის ტყორცნაში უძლიერესი იყო დ. ფრომი—70 მ 71 სმ. ჭოკით ხტომაში — დ. როუზი—4 მ 40 სმ. სამხტომში—დ. სმიტი—14 მ. 77 სმ ამანათრბენებში ორი გამარჯვება მოიპოვა ებილინის კოლეჯის გუნდმა, სადაც უკანასკნელ ეტაპზე გამოდიოდა ოლიმპიური ჩემპიონი რ. მოროუ. 4×110 იარდზე ამ გუნდმა (ბრიქსი, ვუდჰაუზი, სეგრესტი, მოროუ) აჩვენა 40,5, ხოლო 4×220 იარდზე — 1.24,2. ცოტა ხნის შემდეგ ამ გუნდმა კალიფორნიის ქალაქ ფრესნოში გამართულ შეჯიბრებაზე გაიმეორა მსოფლიო რეკორდი 4×110 იარდზე — 39,9. უკანასკნელ ეტაპზე კვლავ მოროუ გამოდიოდა.

რედაქტორი ი. უგულავა

საქართველოს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი და მძლეოსანთა რესპუბლიკური სექცია იუწყება საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრის

თ. ვ. კერესელიძის

გარდაცვალებას.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 8-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8-90-84, მორიგისა და გამომშვების — 8-88-25.
საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 01943